საქართველო, ქ. თბილისი
შ.პ.ს. „მონოლითი“
202242233
თევდორე მღვდლის ქ. №5

GEORGIA, TBILISI
„MONOLITI“ L.T.D.
202242233
5 TEVDORE MGVDELI STR.

№102/13 „19“ ნოემბერი 2013 წ.

ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა ”ჯეობილდი 2004”-ს თავმჯდომარეს, ბატონ ბესარიონ გოცირიძეს.

ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ჭავჭავაძის I ჩიხის მიმდებარედ, ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა ”ჯეობილდი 2004”-ს მიერ, მიმდინარეობს მრავალსართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა. შენობა კონსტრუქციულად გადაწყვეტილია მონოლითური რკინაბეტონის კარკასულ ვარიანტში. საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნიდან გამომდინარე, საძირკვლებად მიღებულია ხიმინჯოვანი საძირკვლები მონოლითური რკინაბეტონის ფილოვანი როსტვერკით. ხიმინჯები კიდული ტიპისაა (სიგრძით ≈22მ. დიამეტრი 120სმ.) და ეყრდნობა ქვედა ჰორიზონტის მოლურჯო-ნაცრისფერ ტბიურ თიხებს, რომელთა ფიზიკურ-მექნიკური მახასიათებლები შემდეგია:

სიმკვრივე	$\rho=1.95$ტ/მ^3.
შიდა ხახუნის კუთხე	$\varphi=13^0$.
ხვედრითი შეჭიდულობა	$c=0.50$კგძ/სმ^2.
პირობითი საანგარიშო წინაღობა	$R_0=2.50$კგძ/სმ^2.
დეფორმაციის მოდული	$E=207$კგძ/სმ^2.
პუასონის კოეფიციენტი	$\mu=0.42$
დენადობა	$I_L=0.30$

მშენებარე კორპუსის ”ე” ღერძის გასწვრივ არსებული ხიმინჯები (3 ცალი) და ”ე'” ღერძის გასწვრივ არსებული ერთი ხიმინჯი შედარებით ახლოსაა განთავსებული მეზობელი საცხოვრებელი სახლის კედელთან (იხ თანდართული ნახაზი).

არსებული შენობა გადაწყვეტილია ასევე მონოლითური რკინაბეტონის კარკასულ ვარიანტში. საძირკვლებად გამოყენებულია მონოლითური რკინაბეტონის წიბოვანი ფილა ნაწილობრივ ხიმინჯებით. ხიმინჯების დიამეტრია 80სმ. სიგრძე 14მ. ხიმინჯები განლაგებულია ”ა”; ”ხ”; ”14 ღერძების გასწვრივ (საპროექტო შენობის ”ე” ღერძის მიმდებარედ).

მშენებარე შენობა გაანგარიშებულია 8 ბალიან სესიმურ ზემოქმედებაზე, როგორც თოთხმეტ სართულიანი ნაგებობა, სამი მიწისქვეშა და თერთმეტი მიწისზედა სართულით. გაანგარიშის შედეგები აკმაყოფილებს მასზე წაყენებულ ყველა მოთხოვნას. ამასთან ერთად გაცნობებთ, რომ შენობა როგორც მშენებლობის, ასევე მისი ექსპლოატაციის მთელი პერიოდის განმავლობაში არ იქონიებს უარყოფით ტექნიკურ ზეგავლენას ზემოაღნიშნულ მეზობლად მდებარე საცხოვრებელი სახლის მზიდი კონსტრუქციული ნაწილისათვის.

შ.პ.ს. "მონოლითი"-ს
დირექტორი. /გ. იაშვილი/

მთავარი ინჟინერი. /მ. საველიძე/

მშენებარე და არსებული შენობების საძირკვლების ურთიერთ განლაგების გეგმა
მ 1:150



ილია ჭავჭავაძის 1 ჩიხის მიმდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი			მშენებარე და არსებული შენობების საძირკვლების ურთიერთ განლაგების გეგმა			2013 წ.
ხელმძღვანელი	დ. ბაირამაშვილი		ფურც. №	რაოდენ.	მასშტ.	დამკ. №
პროექტ. ავტორი	დ. ბაირამაშვილი		3 - 1	1	1:150	
მთ. ინჟინერი	შ. მღინარაძე	შ. მღინარაძე (signature)	დამკვეთი: ი.ზ. ამხ. "ჯეობილდი 2004"			
შეასრულა	შ. მღინარაძე	შ. მღინარაძე (signature)	ინდ. მეწარმე "დავით ბაირამაშვილი"			
შეამოწმა						